

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (სა) პრეზიდენტმა რანკო კრივოკაპიჩმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანში 9 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიას არ გაგზავნის.
ეს გადაწყვეტილება იმიტომ იქნა მიღებული, რომ არჩევნების და ასამბლეის 13-15 ოქტომბერს მონტენეგროში ჩატარებულ საშემოდგომო სესიის დრო ერთმანეთს ემთხვევა. კრივოკაპიჩმა აღნიშნა, რომ ეუთოს სა უკვე წლებია საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგს ატარებს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ატარებს საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს. ამასთანავე, ორგანო საშემოდგომო სესიიდან ორი კვირის შემდეგ
- 27 ოქტომბერს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე გაგზავნის დამკვირვებლებს. აღსანიშნავია, რომ ეუთოს სა-ს ხელმძღვანელი სექტემბერში რამდენიმე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ვიზიტს გეგმავს. აზერბაიჯანში ვიზიტი არ იგეგმება.